

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიები

ქადაგიშვილი დავითი

ქვანტური კომპიუტერული ტექნოლოგიების არქიტექტურული
იმპლიკაცია

ნაშრომი შესრულებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: პაატა კერვალიშვილი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2014

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე კომპიუტერულ სისტემების არქიტექტურის მახასიათებლებზე დაფუძნებული ქვანტური გამოთვლითი ტექნოლოგიების კლასიფიკაცია. ასევე აღწერილია ქვანტური გამოთვლითი პროცესების გაშვების ინჟინერული გადაწყვეტილებები, ქვანტური მდგომარეობის დეკოჰერენცია და მოცემული სისტემების ზომები. განხილულია რამოდენიმე ტექნოლოგიური გამოწვევა რომლის პარალელიზმი, ტევადობა და ქსელური ურთიერთკავშირის ტოპოლოგია განსაზღვრავს ალგორითმულ ეფექტურობას, ხოლო ქვანტური შეცდომების გასწორება და საჭირო ქვანტური მდგომარეობის გაზომვა უზრუნველყოფს ლოგიკური მთვლელის სისწრაფეს. ტაქსონომიის გამოყენებით მიღებული არითმეტუკული სქემისთვის გამოკვლეულია არქიტექტურული იმპლიკაცია, ნაჩვენებია ქვანტური შეცდომების გასწორების იმპლიმენტაცია და განხილულია კლასტერული ქვანტური გამოთვლები.

Anotation

In this article we present a classification scheme for quantum computing technologies that is based on the characteristics most relevant to computer systems architecture. The engineering trade-offs of execution speed, decoherence of the quantum states, and size of systems are described. Concurrency, storage capacity, and interconnection network topology influence algorithmic efficiency, while quantum error correction and necessary quantum state measurement are the ultimate drivers of logical clock speed. We discuss several proposed technologies. Finally, we use our taxonomy to explore architectural implications for common arithmetic circuits, examine the implementation of quantum error correction, and discuss cluster-state quantum computation.

სარჩევი

შესავალი	4
1. ფუნდამენტური მოთხოვნილობები	7
2. ტექსონომიის საფუძვლები	9
2.1 ძირითადი მახასიათებლები	9
2.2 მაწარმოებელი და ოპერირებლული გარემო	12
2.3 ალგორითმული ეფექტურობის მახასიათებლები	13
2.4 დროის და კარიბჭის მახასიათებლები	15
2.5 სხვა მახასიათებლები	17
3. ქვანთური ტექნოლოგიები	20
3.1 NMR გადაწყვეტა	22
3.2 იოსეფსონის გადაკვეთა	23
3.3 სილიციუმის NMR	27
3.4 სკალირებადი იონური ხაფანგი	28
3.5 ოპტიკური მთვლელები	30
3.6 ქვანთური ნაწილაკის დამუხტვა	31
3.7 კეინის მოდელი	32
4. არქიტექტურა და აპლიკაცია	33
4.1 არითმეტიკა	33
4.2 შეცდომების მართვა	37
4.3 კლასტერული მდგომარეობის გამოთვლა	38
დასკვნა	39
გამოყენებული ლიტერატურა	41

შესავალი

ქვანტური გამოთვლები წარმოადგენს განვითარებად სფეროს. მკვლევარები მოტივირებულნი არიან კლასიკურ მანქანებზე შედარებით უფრო დიდი გამოთვლითი პოტენციალით. დღესდღეობით ამ საკითხზე კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია ორ უკიდურეს მიმართულებაზე: დაწყებული ალგორითმების და კომპლექსურობის თეორიით, დამთავრებული ქვანტური კარიბჭეების და ქუბითების შენახვის ტექნოლოგიებით. არქიტექტურის როლი ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მოახდინოს ქვანტური ალგორითმების ეფექტურად მუშაობა პრაქტიკულ მანქანებში, დღესაც ჩამოყალიბების პროცესშია.

ამ სისტემების არქიტექტურის ფორმირება არ შეიძლება იყოს მეორეხარისხოვანი. კარგად შემუშავებული სისტემა იქნება უფრო სწრაფი, მაღალი თავსებადობის უნარიანი და შეცდომების მიმართ მდგრადი ვიდრე იგივე საბაზისო ტექნოლოგიაზე აგებული სისტემა. ამის შედეგად მას ექნება უნარი გადაწყვიტოს უფრო დიდი და საინტერესო პრობლემები. სისტემურ არქიტექტურას აგრეთვე შეუძლია სისტემური დონის კომპრომისებით, ფარდობითი მნიშვნელობით და სხვადასხვა ტექნოლოგიური თავისებურების საჭირო სასრული დონის დემონსტრირებით ხელი შეუწყოს კვლევითი პროგრამის მექანიზმის ფორმირებას. ამგვარად, ქვანტური კომპიუტერების სისტემის არქიტექტურას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მათ მნიშვნელოვან კვლევით სფეროში და წარმატებაში.

ამ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით არქიტექტურის კუთხით მომუშავე მკვლევარებზე დაყრდნობით შევქმნათ გეგმა ტაქსონომიის სახით და განვიხილოთ რამოდენიმე პერსპექტიული ქვანტური გამოთვლითი ტექნოლოგია. ასევე ჩვენ ქვანტური არითმეტიკული ალგორითმების შეფასებით, ქვანტური შეცდომების გასწორებით და კლასტერულ ქვანტურ გამოთვლების გამოყენებით გარკვეულ ჭრილში მოვახდენთ იმის დემონსტრირებას, თუ როგორ ავსახოთ ინფორმაცია მოცემული ტაქსონომიიდან.

როდესაც განვიხილავთ ახალ ქვანტურ გამოთვლით ტექნოლოგიის საკითხს, ბუნებრივია გაჩნდეს შემდეგი შეკითხვები:

1. მუშაობს თუ არა (ან შეიძლება თუ არა ამუშავება)?

2. როგორ უნდა აკონტროლო(მოწყობილობა და პროგრამული უზრუნველყოფა)?
3. როგორია მისი მაშტაბები?
4. რამდენად სწრაფია?
5. რის დათმობა მოგვიწევს მის განახორციელებლად?

ამ ნაშრომში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ 2-5 შეკითხვაზე, ასევე ყურადღება დაეთმობა 1 შეკითხვის პასუხის არსებულ მდგომარეობას. შეკითხვა 1 მედწილად მოწყობილობის ფიზიკოსებისთვისაა, თუმცა აქრქიტექტორები უნდა აცნობიერებდნენ მაღალ სკალირებად სისტემის პოტენციურ გამოწვევებს, ვინაიდან საბოლოო ჯამში ქვანტური კომპიუტერის შექმნისას ეს გამოწვევა აუცილებლად იჩენს თავს. გარდა ამისა არქიტექტორებს პროექტირების გამოცდილების გამოყენებით შეუძლიათ ამ პრობლემების გარკვეულ წილად გაადვილება.

შეკითხვა 2 მნიშვნელოვანია აქრქიტექტორებისთვის, ვინაიდან ქვანტური ტექნოლოგიების კლასიკური კონტროლი არის რთული არქიტექტურული პრობლემა. რამოდენიმე ასეთი ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ კლასიკური ლოგიკის ინტეგრირება ქვანტურ ბიტებთან (ქუბიტებთან), ხოლო დანარჩენი ტექნოლოგია გამოიყენებს კლასიკურ კონტროლს. მოწყობილობის ქვანტური მხარის პარალელიზმი, ოპერაციის სისწრაფე, სწრაფი, ზუსტი ქუბითური გაზომვები და კონტროლი საჭიროებს მაღალსიჩქარიან ინტერფეის რომელიც დააკავშირებს სუბსისტემას და თავად ქვანტურ მოწყობილობას.

შეკითხვა 3 გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. თუ ვერ მოხერხდა ასობით და ათასობით პროგრამული დონის ქუბიტებისგან მაღალ სკალირებად სისტემის აგება, მაშინ მოწყობილობა ვერასოდეს იქნება დასრულებული. თუმცა შეკითხვა პასუხის გასაცემად საკმაოდ კომპლექსურია, ის დამოკიდებულია როგორც ტექნოლოგიურ ზღვრებზე, ასევე ფუნდამენტურ ფიზიკურ თავისებურებებზე. ამგვარად , სკალირებას მოგვიანებით განვიხილავთ.

ამ ტექნოლოგიების სიჩქარე (შეკითხვა 4) არის მნიშვნელოვანი ორი მიზეზით: პირველი, გამოთვლების სიჩქარე დაკავშირებულია ამ გამოთვლების შეცდომების სიხშირეზე (დეკონჰერენციაზე) რომელიც განსაზღვრავს ქვანტური კომპიუტერის შესაძლებლობის და

შექმნის საკითხს. მეორე, მიუხედავად იმისა რომ ქვანტურ გამოთვლით მოდელს აქვს კლასიკური მანქანების მსგავსი პრობლემები, ქვანტური ალგორითმების გამოყენებით, საინტერესო შედეგის გამოსათვლელად საჭიროა კარიბჭეების დიდი რაოდენობა. კილობიტური ზომის რიცხვების ფაქტორი მაგ. $O(n^3)$. მყიფე ქვანტური მდგომარეობის შეცდომათა სიხშირის გასამკლავებლად, ჩვეულებრივი მუდმივა (რომელიც შეიძლება იყოს ასობით და ათასობით) მათ რიცხვში უნდა ჩაითვალოს. ამგვარად, ძირითადი გამოთვლითი სიჩქარე ქვანტური სისტემების და მათი საბოლოო გამოყენებისთვის კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება.

და ბოლოს, შეკითხვა 5 წარმოადგენს არქიტექტორული კვლევის მთავარ ასპექტს. ჩვენ შევისწავლით სხვადასხვა ტექნოლოგიების თავისებურებებს, რომლებიც იქნება ერთმანეთთან ურთიერთშეთანხმებული. მაგაითად, რამოდენიმე კარიბჭის ამუშავება სასურველია როგორც შეცდომების გასწორების მხრივ, ასევე პროგრამული ალგორითმებისთვის. მიუხედავად იმისა რომ რამოდენიმე ტექნოლოგიის არქიტექტურის წარმოება კომპლექსური და ძვირადღირებულია (მაგ. იონური ხაფანგის სისტემებისთვის დიდი რაოდენობით ლაზერის მოთხოვნილება), სხვა ტექნოლოგიების პარალელიზმი, უფრო მაღალ ცდომილობის სიხშირეში ან კომპლექსურ სიგნალთა დამუშავებაში შედეგის მომტანია (მაგ. ატომურ მაგნიტურ რეზონანსულ სისტემაში ქუბითების იზოლაცია).

ამ ნაშრომისის წაკითხვა არ მოითხოვს ქვანტური გამოთვლების თეორიის დეტალურ ცოდნას. შემდეგ თავში ჩვენ აღვწერთ ცნობილ ქვანტურ გამოთვლითი მოწყობილობების ცნობილ ფუნდამენტურ კრიტერიუმებს, ხოლო შემდეგ მოცემული ტაქსონომიის საფუძვლებს. 4 თავში ეს საფუძვლები გამოყენებულია რამოდენიმე პერსპექტიული ქვანტური ტექნოლოგიების კონტექსტში. 5 თავში მოცემულია პროგრამების, არქიტექტურის და ტექნოლოგიის ურთიერთკავშირის რამოდენიმე გზა; ხოლო 6 თავში გამოვიტანთ ამ განხილვის დასკვნას.

1. ფუნდამენტური მოთხოვნები

დივინჩენომ (1995 წ). აღწერა ხუთი მახასიათებელი, რომელიც უნდა გააჩნდეს რეალურ ქვანტურ გამოთვლით მოწყობილობას. ქვანტური კომპიუტერი უნდა :

1. იყოს სკალარული ფიზიკური სისტემა, კარად განსაზღვრული ქუბითებით.
2. იყოს გამოთვლამდე ინიციალიზებადი საჭირო მდგომარეობაში.
3. ქონდეს ადეკვატური სიდიდის დეკოჰერენცირების დრო.
4. ქონდეს უნივერსალური ქვანტური კარიბჭეების წყობა.
5. ქონდეს მაღალი ეფექტურობის ქვანტური გაზომვების უნარი.

დანარჩენი ორი კრიტერიუმი ფოკუსირებულია ქვანტური ინფორმაციის ერთ ქვანტურ კომპიუტერიდან მეორეში გადატანაზე. ქმედითუნარიან ქვანტურ საკომუნიკაციო ტექნოლოგიას უნდა :

6. შეემდოს სტაციონარული და მოძრავი ქუბითების ფიზიკურ რეალიზაციებში გადაყვანა.
7. შეემდოს ქუბითის ფიზიკური რეალიზაციის განსაზღვრულ ლოკაციებში საიმედოდ გადაცემა.

ამ კრიტერიუმების არსი საკმაოდ მარტივია. 1 პუნქტი ნიშნავს იმას, რომ უნდა არსებობდეს რაიმე ფიზიკური ობიექტი , როგორიცაა ენერგო დონის იონი, ფოტონის პოლარიზაცია, ან ელექტრონის სპინი, რომელიც ფაქტიურად იქნება ქუბითის გადამზიდავი. ის უნდა შეესაბამებოდეს ქვანტური თვისების ძირითად კრიტერიუმს და ქონდეს ორი მდგომარეობის მხარდაჭერა, რომელიც შეიძლება აღვიქვათ როგორც 0 და 1. 1 პუნქტი ასევე ეხება „სკალარულობას“, რასაც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია; ჩვენ ამ ასპექტებსაც განვიხილავთ. 2 პუნქტი საკმაოდ ცხადია: ის უბრალოდ „შეტანა - გამოტანის“ პრინციპის ინტერპრეტაციაა.

დეკოჰერენციის კრიტიკული საკითხი, ან ქვანტური მდგომარეობის დაკარგვა (3 პუნქტი) წარმოადგენს დროის, კარიბჭეების შეცდომების და ქუბითების ტრანსპორტირების საკითხს. ფუნდამენტური და თეორიული გათვლები ქმნიან ზღვარს, რომ

ქვანტური კომპიუტერი ვერ შეძლებს ფუნქციონირებას 10^{-4} შეცდომაზე ან 10^4 კარიბჭიდან თითო შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში. [იაკირ აპარონოვი და ბენორი 1999]. ქვანტური ტექნოლოგიები საჭიროებს შეცდომების სიხშირის მოცემულ ზღვარზე დაბლა დაყვანას, იმისთვის რომ თავიდან ავიცილოთ შეცდომების გასწორების პროცესში გაუთვალისწინებელი შედეგები. ტექნოლოგიური და არქიტექტურული გათვლები ხანდახან შეიძლება დრამატულად განსხვავდებოდეს თეორიული ზღვრისგან, რომელსაც შემდგომ განვიხილავთ.

4 კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად კომპიუტერს უნდა შეეძლოს მცირე რაოდენობის „უნივერსალური კარიბჭეების“ გამოთვლა, რომელის შესაძლებელი იქნება გამოყენებულ იქნას უფრო დიდი და კომპლექსური კარიბჭეების სინთეზისთვის. ეს იმას ნიშნავს რომ კლასიკურ კომპიუტერულ ტექნოლოგიას როგორც მინიმუმ უნდა შეეძლოს NOR ან NAND ოპერაციის შესრულება. ქვანტური კომპიუტერებისთვის ერთ-ერთ ასეთ უნივერსალურ კარიბჭეების ნაკრებს წარადგენს X, H, T, და CNOT კარიბჭეები. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ X, H და T კარიბჭეები ერთბიტიანი ოპერაციებია, ხოლო CNOT მოიცავს 2 ქუბიტს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ X, H და CNOT შედარებით მარტივია შეცდომების გასწორების მიმართ, მაშინ როცა T მოითხოვს უფრო კომპლექსურ სქემას.

5 პუნქტი მოითხოვს ქუბიტების მდომარეობის წასაკითხად საჭირო, საიმედო გზის არსებობას. გამოთვლების დასასრულს მიღებულ შედეგზე უფრო მნიშვნელოვანია გაზომვა, რომელიც საჭიროა განვახორციელოთ ქვანტური შეცდომების გასწორების თითქმის უწყვეტ რეჟიმში და ასევე დარღვევების მიმართ ტოლერანტული კარიბჭეების კოდურ ბიტებზე გაშვების პროცესში.

6 და 7 პუნქტები უშუალოდ გამოთვლების მიზნით ქვანტური ინფორმაციის დიდ მანძილზე გადატანას უკავშირდება. 6 პუნქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა გახლავთ ის, რომ იგი ასიხაზება მხოლოდ იმ სისტემებზე, რომლებიც გამოითვლიან ქვანტურ ალგორითმებს საერთო მდგომარეობების მეშვეობით. ის არ იმუშავებს სხვა ისეთ ქვანტურ ეფექტების გამოყენებებში, როგორიცაა ქვანტური კრიპტოგრაფია და ქვანტური ტელეპორტაციის ძირითადი დემონსტრირებები. [ბენეტი 1993, ფურუსავა 1998] (თუმცა

ტელეპორტაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქვანტურ კომპიუტერულ არქიტექტურაში. [გოთსმანი 1997]).

ეს კრიტერიუმები გამოყენებულია როგორც ქვანტური გამოთვლის ევოლუციის საწყისად. [ნილსენი და ხუანგი 2000, ARDA 2004]. ის წარმოადგენს შესაძლებლობების ნაკრებს, მაგრამ არ არის საკმარისი ქვანტური კომპიუტერის აგების სირთულის ან მისი სიჩქარის და გამოყენების გასააზრებლად.

2. ტაქსონომიის საფუძვლები

იმისათვის, რომ შევქმნათ არქიტექტურული კვლევების შემფასებელი ქვანტური კომპიუტერული ტექნოლოგიებისთვის საჭირო სახელმძღვანელო, უნდა შევქმნათ კლასიფიკაციურ კრიტერიუმთა ნუსხა. ამ ნაშრომში აღვწერთ თითოეულ კრიტერიუმს და ასევე რამოდენიმე მის არქიტექტურულ იმპლიკაციას. მომდევნო თავში ჩვენ გამოვიყენებთ ამ ტაქსონომიას რამოდენიმე კომპიუტერული ტექნოლოგიის შეფასებისთვის.

2.1 ძირითადი მახასიათებლები

სტაციონატული, მფრინავი და მობილური. ქვანტური კომპიუტერული ტექნოლოგიები შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: სადაც ქუბითები წარმოდგენილია როგორც მუდმივად მოძრავი მოვლენა (ფოტონები), და სადაც ქუბითები წარმოდგენილია როგორც სტატიკური მოვლენა (ატომური ელექტრო სპინები). მოძრავი მოვლენისთვის კარიბჭეები არის ფიზიკური მოწყობილობა, რომელიც მოქმედებს ქუბითზე თუ როგორ გამოივლის კარიბჭეს. ასეთ ქუბითებს ეწოდება „მფრინავი ქუბითები“. ამ კატეგორიაში აგრეთვე შედის ოპტიკური იმპლიმენტაციები. „სტაციონარული“ მოვლენისთვის ქუბითები იკავებენ ფიზიკურ ადგილს და ასრულებენ ოპერაციებს იმ აპლიკაციის მიხედვით, რომელიც მასზეა ასახული. „სტაციონარული“ ცნება მხოლოდ კარიბჭის ოპერაციის დროს მოქმედებს. რამოდენიმე სტაციონარული ტექნოლოგია, როგორიცაა სკალირებადი იონების ხაფანგი, ქუბითის ფიზიკურ მატარებელს საშუალებას აძლევს გადაიტანოს იგი კარიბჭის აპლიკაციამდე. ასეთ ქუბითებს ეწოდება „მობილური“ ქუბითები. [კელპინსკი 2002].

სტაციონარული და მფრინავი იმპლიმენტაციის ერთმანეთისგან გამოყოფის ძირითადი მიზეზი დინამიური კონტროლია. მფრინავი ქუბითების მოწყობილობაში, ქუბითთა მწკრივი წინასწარ უნდა იყოს დაფიქსირებული. კლასიკური გადამრთველების კონტროლი, რომელიც აძლევს მიმართულებას ქუბითებს სხვადასხვა დანაყოფებში, უზრუნველყოფს რამოდენიმე პროგრამის ერთდროულად გაშვებას. სტაციონარულ ქუბითის მოწყობილობა უფრო მოქნილია ქუბითების ხელახალი კონფიგურაციისთვის. სტაციონარული მოწყობილობები წააგავს კლასიკურ პროგრამირებას, ისევე როგორც მფრინავი ქუბითების პროექტირება კლასიკურ სქემურ ტექნიკას. [იאו 1993].

მთლიანი და გაერთიანებული სისტემა. ქვანტური კომპიუტერული ტექნოლოგიები ერთმანეთისგან ნიშნულგვანად განსხვავდებიან ერთიანი და ცალკეულ გამოთვლებით. გაერთიანებულ გამოთვლებში, რომლებიც ძირითადად იმპლიმენტირებულია სტატიკურ ქუბითურ სისტემებზე, მოცემულია მრავალი იდენტური ქვანტური კომპიუტერი, რომლებიც დებულობენ იგივე ოპერატორებს და აშუშავებენ იგივე პროგრამას. მთლიან სისტემებს აქვთ უნარი უშუალოდ გააკონტროლოს ფიზიკური ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ქუბითს. ტექნოლოგიური თვალთახედვით, გაერთიანებული სისტემები ექსპერიმენტის ჩასატარებლად შედარებით უფრო მარტივია, ვინაიდან დიდი რაოდენობის ატომის ან მოლეკულის გაზომვა და მანიპულირება უკეთ აღსაქმელია. ამგვარად, ქვანტური გამოთვლითი სისტემის დემონსტრირება დღესდღეობით შესაძლებელია სპინური სიმრავლით, რომელიც გამოსათვლელად იყენებს მოლეკულურ მწკრივს [ვანდერსიპენი 2001].

გაზომვა. საიმედო გამოთვლებისთვის და გამოთვლების შედეგზე დაკვირვებისთვის გამოთვლით ტექნოლოგიებს უნდა ჰქონდეთ პროცესების წარმოდგენის მხარდაჭერა. ასეთ წარმოდგენას ეწოდება გაზომვა, რომელის მეშვეობითაც ვაკვირდებით ქვანტური ბიტის (ქუბითის) მდგომარეობას და ვაწარმოებთ კლასიკურ შედეგს. განვიხილოთ გაზომვის სქემის ოთხი მახასიათებელი: (1) შესაძლებელია თუ არა რამოდენიმე ქუბითის პარალელურად გაზომვა, თუ მათი გაზომვა უნდა იყოს სერიული? (2) იმისათვის რომ მივიღოთ შედეგი, მოითხოვს თუ არა ქუბითის გაზომვა სხვა „ცარიელ“ ქუბითთან ურთიერთქმედებას? (3) არის თუ არა გაზომვის სიჩქარე (მაგნიტუდის მწკრივში) ისეთი როგორიც მოქმედების

შესრულების დროსაა? (4) შესაძლებელია თუ არა განვახორციელოთ გაზომვა ყველგან, რომელიმე კონკრეტულ არეში?

ქვანტური სისტემის საიმედო გამოთვლები გულისხმობს იმას, რომ ქვანტური ოპერაციების დიდი (თუარა უმეტესი) ნაწილი უნდა იყოს გაზომვები. [სტინი 2002]. არქიტექტორული თვალსაზრისით თუ გაზომვები განხორციელდება სერიულად ან უჩვეულოდ ნელა, მაშინ ეს შექმნის ამ გამოთვლებისთვის ვიწრო ადგილს. გარდა ამისა, თუ გაზომვისთვის საჭიროა დამატებითი „ცარიელი“ ქუბითების დამატება, მაშინ ჩვენ უნდა ჩამოვყალიბოთ ინიციალიზების პროცესი რათა ხშირად განვახორციელოთ გაზომვა. ანალოგიურად, თუ ტექნოლოგიებში არის გაზომვის ადგილის შეზღუდვა, მაშინ ეს შეზღუდვები უნდა ჩამოყალიბდეს არქიტექტურაში.

შეცდომების დამუშავება და გასწორება. ქვანტური შეცდომების გასწორების თეორია (QEC) თითქმის ათწლეულებია რაც არსებობს, თუმცა მისი პროგრამული უზრუნველყოფა დამოკიდებულია ტექნოლოგიურ მიღწევებზე. ქვანტური შეცდომების გასწორების თეორია ტრადიციულად დამყარებულია თანმიმდევრულ გამოთვლებსა და ლოგიკურ კარიბჭეებზე, სადაც ახლახანს მიაღწიეს ექსპერიმენტულ პროგრესს. [რუზი 2004]. ქვანტური შეცდომების გასწორება შესაძლებელია გაზომვების გარეშეც, „დროებითი“ ქუბითური ცვლადებით, რომელიც შედაგენს შეცდომების გასწორების პროგრამულ რიცხვებს. [ნილსენი და ხუანგი 2007]

რამოდენიმე ტექნოლოგიაში ქუბითები განიცდიან დამოუკიდებელ შეცდომებს, რომლიც QEC -ით გასწორებას ექვემდებარება. დამატებითი მეთოდები როგორიცაა თავისუფალი განზომილების დეკოჰერენცია (DFSees), გასნაკუთრებულად სასარგებლოა დაახლოებული ქუბითების შეცდომების გასასწორებლად. [ნილსენი და ხუანგი 2000].

ოპტიკურ სისტემებში შეცდომების დაკარგვის წყარო ფოტონების დაკარგვაა. ასეთ შემთხვევაში ეფექტურია კოდების გასუფთავება (შეცდომების გამსწორებელ კოდებისგან გასწავებით [ნილი 2000]), ვინაიდან დაკარგული ქუბითების დადგენა ადვილია.

2.2 მაწარმოებელი და ოპერირებული გარემო

დღესდღეობით ყველა სკალირებადი ქვანტური გამოთვლითი ტექნოლოგია არის თანამედროვე გამოწვევა, რომელიც მოითხოვს წარმოების მნიშვნელოვან განვითარებას იმასათვის რომ მოვახდინოთ მათი რეალიზება. რამოდენიმე ასეთი გამოწვევა შედარებით ნაკლებ ტექნოლოგიურ ძალისხვევას საჭიროებს ვიდრე დანარჩენი. გარდა ამისა, რამოდენიმე ტექნოლოგიური მოთხოვნილებები უკეთ ახდენს არსებულ კლასიკურ გამოთვლებთან ინტეგრირებას.

ტექნოლოგიური გამოწვევები. საინტერესოა ტექნოლოგიური მიღწევების რომელ საფეხურზე შევხვდებით წარმოების განვითარების სირთულეებს. მაგალითად, სილიციუმზე დაფუძნებული ატომურ მაგნიტური რეზონანსი ემყარება ზუსტად განლაგებულ ფოსფორის ატომის წმინდა სილიციუმს და მათი ფენურ სტრუქტურაზე დაყვანა ხდება სტანდარტული მაღალ სკალირებად ინტეგრაციის (VLSI) ლიტოგრაფიით [კეინი 1998]. ყველა მყარი ტექნოლოგიური სქემა მოითხოვს კლასიკურ კონტროლის ხაზს. (მაგ. [ფუჯიცავა 1998; ნაკამურა 1999]), რის სასარგებლოდაც შეიძლება გამოვიყენოთ VLSI-ის ზომების მურის კანონით მოსალოდნელი გაუმჯობესება. [მური 1965, ESIA 2003]. ჩვენს ტაქსონომიაში გამოვყოფთ ქვანტური გამოთვლების მთავარ ტექნოლოგიურ გამოწვევებს და განვიხილავთ მათ ბოლო მიღწევებს.

კონტროლის პარალელიზმი. ქვანტურ გამოთვლებში ალგორითმული უპირატესობების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ქვანტური ალგორითმებიდან პარალელიზმის გამოყოფა. რამოდენიმე მოცემულ ტექნოლოგიაზე , როგორიცაა სილიციუმის ატომურ მაგნიტური რეზონანსი, ალგორითმების სერიული გაშვება დროის თვალსაზრისით საკმაოდ შრომატევადი იქნება [სკინერი 2003]. მაგალითად, კუნიჰირომ [2005] შეაფასა შორის ალგორითმის სამუშაო დრო. 530-ბიტის რიცხვის ფაქტორიზაციას 1kHz-იან მოწყობილობაზე დასჭირდება 1.18 წელი, 10 საათი 1MHz-იან მოწყობილობას ან 37 წამი 1GHz-იან მოწყობილობას.

საბედნიეროდ ქვანტურ პროგრამულ უზრუნველყოფაში (შეცდომების გასწორებასა [სტინი 2003] და დამუშავებაში [ვან მეტერი და იტო 2005]) ხელმისაწვდომია მნიშვნელოვანი

პარალელიზმი. თუმცა ამ პარალელიზმის გამოყენება საჭიროებს პარალელური კონტროლის ტექნოლოგიებს. პარალელური კონტროლი მოითხოვს მნიშვნელოვან კლასიკურ სქემატიკას. თუ ეს სქემატიკა მოთავსებული იქნება ქუბითებთან დაახლოებულ „ჩიპზე“, მაშინ საჭირო იქნება ვუზრუნველყოთ მაღალ გამტარობის უნარიანი ინტერფეისი კონტროლის იმპულსის წარმომქმნელ კლასიკური მოწყობილობასა და არსებული ქუბითების მქონე ქვანტურ მოწყობილობას შორის.

სამუშაო ტემპერატურა. ხმაურის კონტროლისთვის ტექნოლოგიტრ გამოწვევების დიდი ნაწილი მოითხოვს ტემპერატურის ძალიან დაბალ მაჩვენებელს, რისი მიღწევაც შესაძლებელია თხევადი ჰელიუმის საშუალებით. სხვა ტექნოლოგიები მოითხოვენ კიდევ უფრო ცივ (მილიკელვინურ) ტემპერატურას, რომელიც მოითხოვს დილუციურ (ქიმიური კონცენტრაციების შემცირებით) გაციებას. ტემპერატურის ასეთი მდგომარეობა არამხოლოდ ტექნოლოგიური გამოწვევა, არამედ იგი ავლენას იქონიებს კლასიკურ სქემათა მართვაზე. [ოსკინი 2003].

დამხმარე ხელსაწყოები. რამოდენიმე ტექნოლოგია მოითხოვს კომპლექსურ დამხმარე აღჭურვილობას, განსაკუთრებით მაღალი სიხშირის მქონე მიკროტალღური გამათბობელი და ძაბვის სიგნალების გენერატორები. შესაძლოა თითოეულ ქუბითზე დაგვჭირდეს ერთი ან მეტი ასეთი ხელსაწყო. სისტემის ზომის ცვლილების გამო შესაძლოა საჭირო გახდეს ამ ხელსაწყოების გადატანა ან გაზიარება, ან უბრალოდ მათი ჩიპურ სისტემაში პირდაპირი ინტეგრირება.

2.3 ალგორითმული ეფექტურობის მახასიათებლები

ქვანტურ ალგორითმებზე მუშაობისთვის სხვადასხვა ქვანტურ გამოთვლების ბევრ მახასიათებელს ექნება რეალისტური აქტიტექტურის ღრმა იმპლიკაცია.

ქუბითების საერთო რაოდენობა. კომპიუტერის სკალარულობის, გამოყენების და სანდოობის დიდ გავლენის მახასიათებელს წარმოადგენს ფიზიკური ქუბითების საერთო რაოდენობა. მოცემული ალგორითმის მინიმალური მოთხოვნილობაზე მეტი, დამატებითი

ქუბითები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ალგორითმის საიმედოობის ასამაღლებლად. ამის განხორციელება შესაძლებელია ალგორითმული პარალელიზმის შეცდომების გასწორებით, რასაც განვიხილავთ 5 თავში.

2 ცხრილის პუნქტებში მოყვანილია კითხვის ნიშნები, ვინაიდან რამოდენიმე საკითხში არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია. უფრო მეტიც, ჯერჯერობით კაურკვეველია რომელი ფაქტორი წარმოადგენს პრაქტიკული ზღვრების მტკიცებულებას. მკვლევარების უმეტესობა ჯერ კიდევ ფოკუსირებულია ქუბითების ძალიან ცოტა რაოდენობაზე. ამგვარად, ეს ზედა ზღვარი ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული.

დამისამართება. რამოდენიმე სისტემაში ქუბითების დამისამართება რთულია, ვინაიდან კლასილური კონტროლის (მაგ. მიკროტალღური სიხშირის ელექტრო-მაგნიტური ველის) ლოკალიზება იმ ზომაზე რასაც ერთეული ქუბითი მოითხოვს საკმაოდ შრომატევადია. ამ პრობლემის ერთ-ერთი გადაწყვეტაა ლოიდის მოდელი, რომელიც პატარა ქუბითების ჯგუფების უჯრედოვან ავტომატად გარდაქმნას გვთავაზობს [ლოიდი 1993]. ამ ჯგუფის თითოეული ქუბითის დამისამართება შესაძლებელი იქნება სპეციალური ელექტრომაგნიტური სიხშირით. ყოველი ავტომატა იმუშავებს მთლიან მოწყობილობაზე ელექტრომაგნიტური დასხივების პროგრამით, რის მეშვეობითაც მივიღებთ რამოდენიმე მონაცემზე ერთდროულად მომუშავე (SIMD) მანქანას. უჯრედული ავტომატას უფრო ადვილად კონტროლირებად სერიულ მანქანად გარდაქმნის ერთ-ერთი მეთოდია ავტომატონიდან ავტომატონში უჯრედული ავტომატას ნიშნულის შენახვა; ხოლოდ ის ავტომატონები განახორციელებენ მითითებულ მოქმედებას, რომლებიც შეიცავენ ამ ნიშნულს. დამისამართების და სპეციფიკურ ქუბითების კონტროლის გარეშე არქიტექტურის და პროგრამული სისტემების ტექნოლოგიის შემუშავება ძალიან რთული იქნება.

ჩაწერა. ერთ-ერთი გადამწყვეტი მიმართულება, სადაც კომპიუტერის არქიტექტორებმა შეიძლება იმუშაონ, არის ალგორითმის მნიშვნელოვან კლასების არქიტექტურის ოპტიმიზირება, რათა უზრუნველყონ მათი სწრაფი გადაცემა. რამოდენიმე სამომავლო ტექნოლოგიებში მხოლოდ მეზობელ ქუბითებს შეუძლიათ ორ ქუბითიან კარიბჭეების შექმნა. გამოთვლების ჩასატარებლად მანქანაში უნდა იყოს გადატანილი ქუბითების ფიზიკურ ელემენტებად (კონტროლის პროცესის გამოყენებით [კელპინსკი 2002])

ან მდგომარეობად (ქვანტური ხვრელების გამოყენებით [ოსკინი 2003]) წარმოდგენა. ერთის მხრივ, ტექნოლოგიური ფაქტორები კავშირის ტოპოლოგიას შემოსაზღვრავს ერთ-განზომილებიანი ხაზით, ხოლო მეორეს მხრივ არსებობს ორ-განზომილებიანი ჯაჭვის და ასევე სამ-განზომილებიანი სტრუქტურის საჭიროება [ლოიდი 1993]. ამ პრობლემის რამოდენიმე გადაწყვეტილებას აქვს მრავალ განზომილებიან კარიბჭეების მხარდაჭერა გარკვეული შეზღუდვებით, როგორიცაა პარალელიზმის შემოსაზღვრულობა [იოუ 2002].

2.4 დროის და კარიბჭის მახასიათებლები

ბუნებრივი კარიბჭეები. ბაზისური ნაკრების ფორმირებისთვის წარმოდგენილია სხვადასხვა კარიბჭის ნაკრებები. [ბარენკო 1995; დივინჩენზო 1994]. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია უნივერსალური კარიბჭეების სტანდარტული ნაკრები (X,H,T,CNOT). ყველა მნიშვნელოვანი ქვანტური გამოთვლების გამოწვევები მოითხოვს ექვივალენტურ უნივერსალურ ნაკრებს. უნივერსალურობის თვალსაზრისით არსებობს შემდეგი სამი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. (1) შეუძლია თუ არა სისტემას აწარმოოს დამოუკიდებლად მბრუნავი ქუბითი,თუ იგი უნდა იყოს სინთეზირებული X, H და T -დან [ნილსენი და ზუანგი 2000]; (2) რამდენად კომპლექსურია სამ ქუბითიან კონტროლერის (ე.წ ტოფოლის კარიბჭის) სინთეზი, რომელიც ფართოდ განოიყენება ქვანტურ ალგორითმებში [ბარენკო 1995]. (3) აქვთ თუ არა სპეციფიკურ კარიბჭეებს არასასურველი ეფექტი ქუბითებზე , რომლებიც არ არიან ოპერანდებად გათვალისწინებული. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ყველა ამ მახასიათებელს.

არბიტრალური ცალკეული ქუბითის ბრუნვა და კონტროლირებადი არბიტრალური ბრუნვა საკმაოდ საჭირო პრიმიტივებია. ტექნოლოგიები, რომლებსაც არბიტრალური ცალკეული ქუბითის ბრუნვის მხარდაჭერა აქვთ , არ საჭიროებს არც ერთ სინთეზურ მეთოდის გამოყენებას , რითაც დავზოგავთ ქუბითების დაახლოების პოლინომურ დროს. კონტროლირებადი არბიტრალური ბრუნვა (ორ ქუბითიანი ოპერაცია) განსაკუთრებით სასარგებლოა ფურიეს ქვანტური გარდაქმნისთვის (QFT), რომელიც გამოიყენება შორის ალგორითმში [შორი 1994; ჰეილში და ჰალგრენი 2000; ბარენკო 1996].

ტოფოლის კარიბჭე შედგება სამი ქუბითისგან და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი ლოგიკის ქვანტურ ბიტებად გარდასაქმნელად (მაგ. NAND, NOR და ა.შ.). იგი დამყარებულია არითმეტიკულ სქემებზე, რომელიც თვალსაჩინოა შორის ალგორითმში. ამას უფრო ახლო განვიხილავთ 5.1 თავში. ტოფოლის კარიბჭის ეფექტურად აგება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ სისტემს გააჩნია ერთ ქუბითიანი ოპერაციების და არბიტრალური ცალკეული ქუბითის ბრუნვის მხარდაჭერა.

სტატკურ ქუბითურ მოწყობილობებში, როგორცაა იონური ხაფანგები ან NMR სისტემა, რამოდენიმე ელექტრომაგნიტური იმპულსი საჭიროებს თითოეულ კარიბჭის იმპლემენტაციას. მათი საშუალო რიცხვია ხუთი ან ექვსი, თუმცა ეს რაოდენობა დამოკიდებულია თავად კარიბჭეზე. NMR სისტემების ერთ-ერთი ნაკლოვანება არის ის, რომ ეს პულსები ეფექტს ახდენს ახლო მდებარე ქუბითებზე და უშუალოდ ოპერირებს მათზე. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დამატებითი კონტროლური სიხშირეები, რომელსაც გამყოფ სიხშირეებს უწოდებენ [ბეკმენი 1996; ლუნგი 2000].

ოპერაციის დრო და კოჰერენცია. გარემოს ეფექტისგან კარგი იზოლურება ქმნის დიდ კოჰერენციის ან ქუბითის „შენახვის“ დროს. ფართო განზოგადებით, ის ტექნოლოგიები რომლებიც ქვანტური მდგომარეობის მისაღწევად ელექტრონებს იყენებენ, მოკლე კოჰერენციული დროისაა, ვინაიდან არსებულ გარემოზე მოქმედი ელექტრონი მობუღური და ტენდენციურია. ტექნოლოგიები, რომლებიც გარემოს ეფექტისგან იზოლირებისთვის იყენებენ ატომურ ეფექტს, უფრო სტაბილურია, თუმცა მისი უარყოფითი მხარე არის ორ ქუბითიან კარიბჭეებთან მუშაობის დაბალი დრო. ჩვენს მიერ განხილული ტექნოლოგიებიდან, კარიბჭის სიჩქარე და დეკოჰერენციის დრო მერყეობს რვა ან უფრო მეტი მაგნიტუდამდე. [ლადი 2003]. კოჰერენცირების დრო წარმოადგენს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან კვლევის საგანს, ვინაიდან ის განავითარებს ქვანტური გამოთვლითი ტექნოლოგიების წინსვლას. კარიბჭის ოპერაციის დრო ხირად პირდაპირ დამოკიდებულია ფიზიკურ პროცესებთან, რომელის საინჟინრო პარამეტრები და მოქნილობა შეზღუდულია.

2.5 სხვა მახასიათებლები

ლოგიკური კოდირება. ქვანტური ალგორითმები კანკუთვნილია აბსტრაქტული და ლოგიკური ქუბითების მანიპულაციისთვის. თუმცა ლოგიკური ქუბითები ყოველთვის არ არის წარმოდგენილი როგორც ფიზიკური მოვლენის ერთეული, როგორცაა ცალკეული იონი ან ფოტონი. ასეთ მოვლენებს, რომელზეც მანიპულირებას ვახდენთ პროგრამულად, ვუწოდებთ „ლოგიკურ ქუბითს“ (ქვანტური შეცდომების გასწორების შემთხვევაში - „კოდირებულ ქუბითს“), ხოლო მოვლენებს რომლის იმპლიმენტირებას ახდენს ტექნოლოგია, ვუწოდებთ „ელემენტარულ ქუბითებს“.

რამოდენიმე ტექნოლოგიაში, როგორცაა ქვანტურ წერტილებში ელექტრონების დამუხტვა, კოდირება ხდება „dual rail“ მეთოდის გამოყენებით. ანალოგიურად, ცალკეულ ფოტონს სქემაში შეუძლია დაიკავოს მარცხენა ან მარჯვენა მიმართულება, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ლოგიკურ მდგომარეობას (მაგ. 0 ან 1). ამ ორივე ტექნოლოგიაში ცალკეული ქვანტური წერტილი (ნაწილაკი) შესაძლებელია წამროვიდგინოთ როგორც ქვანტური ქუბითი, იმ შემთხვევაში თუ მათი გამოთვლა და გაზომვა ხდება კოდირებულ გარემოში.

სკალირების ზღვარი. არქიტექტურაში დიდი რაოდენობით ქუბითების სკალირება მეტ წილად წარმოადგენს ზემოთ ჩამოვლილი ფაქტორების ფუნქციას. ფაქტორები, რომელიც არ იყო ზემოთ მოყვანილი, არის კონკრეტულ ტექნოლოგიაზე დამოკიდებული. მაგალითად, ლითოგრაფიაზე დაფუძნებულ სისტემებში შეტანა/გამოტანის (I/O) კონტროლერი მოთავსებულია ჩიპზე, რომელსაც აქვს ჩაშენებული მიკროტალღური გენერატორები და მცირე მოწყობილობისთვის საკმარისი ოდენობის კონტროლის სადენები. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, რამოდენიმე ტექნოლოგიური გადაწყვეტილება განსაზღვრულ ზედა ზღვარს არსებობას საჭიროებს. ამ ქვეთავში ჩვენ გამოვყოფთ თითოეულ ტექნოლოგიისთვის მიღებულ სკალირების ზღვარს.

ცხრილი 1. ქუბითური ტექნოლოგიის ძირითადი მახასიათებლები (QIO აღნიშნავს ქვანტურ შეტანა/გამოტანას, ? - არ გაუვლია ექსპერიმენტული შემოწმება)					
ტექნოლოგია	სტაციონარული/ მფრინავი/მობილური	მთლიანი/ გაერთიანებული	QIO	გამზომი	რეფერენსი
სილიციუმის NMR	სტაციონარული	გაერთიანებული	არა	მექანიკური ვიბრაცია, სიხშირის ანალიზი	[ლადი 2002]
NMR გადაწყვეტა	სტაციონარული	გაერთიანებული	არა	პარალელური, სიხშირის ანალიზი	[ვანდერსიპე ნი 2001]
ქვანტური ნაწილაკის დამუხტვა	სტაციონარული	მთლიანი	კი?	პარალელური, ჩიპზე დაფუძნებული სტრუქტურა	[ლოსი და დივინჩენზო 1998]
სკალირებადი იონური ხაფანგი	მობილური	მთლიანი	კი?	შეზღუდულად პარალელური, ოპრიკურად იდნუცირებულ იფლუარესენსი	[ცირაკი და ზოლერი 1995;კელპინ სკი 2002]
იოსეფსონის გადაკვეთით დამუხტვა	სტაციონარული	მთლიანი	კი?	პარალელური, ჩიპზე მოთავსებული სენსორი	[პაშკინი 2003;იოუ 2003]
კეინის მოდელი	სტაციონარული	მთლიანი	არა	პარალელური, ერთეული ელექტრული სპინის გაზომვა	[კეინი 1998]
წრფივი ოპტიკური ქვანტური გამოთვლა	მფრინავი	მთლიანი	კი	ფოტონური ოპტიკური დეტექტორები თ ცალკეული ქუბითის პოლარიზაცია	[ნილი 2011]

ქვანტური შეტანა/გამოტანა (QIO). ჩვენ შესაძლებელია დაგვჭირდეს ქვანტური მდგომარეონის ერთი მოწყობილობიდან მეორეში გადატანა. არსებობს სხვადასხვა მიზეზი თუ რატომ შეიძლება იყოს ეს მნიშვნელოვანი: ჩვენ შესაძლოა უბრალოდ დაგვჭირდეს რამოდენიმე მოწყობილობის გაერთიანება, შორეული კვანძისთვის სხვადასხვა გამოთვლითი შესაძლებლობები (მაგ. გრძელვადიანი მონაცემების შენახვა) , ან სხვადასხვა მონაცემებზე წვდომა. რამოდენიმე შემთხვევაში, შესაძლებელია ქვანტური მომაცემები მოწყობილობებს შორის სხვადასხვა ტექნოლოგიებით გადავცეთ.

ქვანტური შეტანა/გამოტანა საკმაოდ ცდომილებიანი პროცესია. ამგვარად, იგი შედგება საწყისი „ცარიელი“ ქუბითებისგან შემდგარი QIO-სგან, რომელიც მოწყობილობებს შორის წარმოქმნის გადამზულ მდგომარეობას. ასეთ მდგომარეობას ეწოდება QIO მიდამოები. გასუფთავების პროცესის შემდგომ, როდესაც დადასტურებული იქნება გადამზული მდგომარეობის არსებობა, შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ქვანტური მდგომარეობის ტელეპორტაციით გადაცემა *[ბენეტი 1993; ფურუსავა 1998; ლოიდი 2000; კუზმიჩი და მაცუკევიჩი 2004]*.

1 ცხრილში QIO ველში შემავალი კითხვისნიშნები აღნიშნავენ იმას რომ შესაბამის მოსალოდნელ ქვანტურ გამოთვლელ სტრუქტურებზე არ განხორციელებულა სადემონსტრაციო ექსპერიმენტი ან ადეკვატური მტკიცებულებები ვერ იქნა ნაჩვენები. რამოდენიმე შემთხვევაში არსებობს საკმაოდ მყარი ანალიზით მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებები ან ექსპერიმენტული დადასტურება, რასაც მომდევნო თავში განვიხილავთ.

3. ქვანტური ტექნოლოგიები

წინა თავში მოყვანილ ტაქსონომიის საფუძველების გამოყენებით ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ქვანტურ გამოთვლით ტექნოლოგიების სხვადასხვა გადაწყვეტილებებს. ძირითად ყურადღებას დავუთმობთ შვიდ ტექნოლოგიას: სიცილიუმის ატომურ მაგნიტურ რეზონანს (Si NMR) , ატომურ მაგნიტურ რეზონანსულ გადაწყვეტას, ქვანტურ ნაწილაკის დამუხტვას, სკალირებად იონურ ხაფანგს, იოსეფსონის გადაკვეთით დამუხტვას, კეინის მოდელს და წრფივ ოპტიკაზე დაფუძნებულ სისტემებს. ამ ტექნოლოგიების შერჩევა არ შეიძლება მივიჩნიოთ ამომწურავად, ვინაიდან არსებობს კიდევ ბევრი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები [ბრენენი 1999; ფოლმენი 2000; შარიარი 2002; პელიზარი 1995; ჩილდრესი 2005]. ეს სისტემები შევარჩიეთ გამომდინარე იქიდან, რომ მათ აქვთ შედარებით ფართო იმპლიმენტაციის და სკალირების უნარი. ინფორმაცია შეჯამებულია 1-4 ცხრილებში. ქვემოთ განვიხილავთ თითოეულ ტექნოლოგიას და მის არქიტექტურულ იმპლიკაციას.

ცხრილი 2. ქუბითურ ტექნოლოგიებში ასახულ ალგორითმის ეფექტურობის მახასიათებლები
(ქუბითების მაქსიმალური რაოდენობა ყველა ტექნოლოგიაში რჩება გაურკვეველად.)

ტექნოლოგია	პარალელიზმი	ქუბითების რაოდენობა	ჩაწერის ტოპოლოგია	დამისამართება	ყველა ქუბითზე ოპერირება
სილიციუმის NMR	არაწევრ ქობითზე მოქმედების შეჩერების შეზღუდვა	ასობით?	წრფივი უახლოესი მდებარეობა	სიხშირით, დამუკიდებელი	კი
NMR გადაწყვეტა	არაწევრ ქობითზე მოქმედების შეჩერების შეზღუდვა	ათობით?	შეზღუდული წრფივი უახლოესი მდებარეობა	სიხშირით, დამუკიდებელი	კი
ქვანტური ნაწილაკის დამუხტვა	კონტროლის მექანიზმის შეზღუდვა	ძალიან დიდი	წრფივი უახლოესი მდებარეობა	ლოკალიზებული, ჩიპური სისტემის დამოუკიდებელი კონტროლით	კი
სკალირებადი იონური ხაფანგი	ლაზერული არის შეზღუდვა	ძალიან დიდი	ღია, არარეგულარ აბადი, ორი და მეტ განზომილებ იანი	ინდივიდუალური იონების სამისამართო ადგილიდან მოქმედების არეში გადატანა	არა
იოსეფსონის გადაკვეთით დამუხტვა	გადაბმის მექანიზმის შეზღუდვა	ძალიან დიდი	ერთი,ორი ან რამოდენიმე განზომილებ იანი	ლოკალიზებული, ჩიპური სისტემის დამოუკიდებელი კონტროლით	კი
კეინის მოდელი	კონტროლის მექანიზმის შეზღუდვა	ძალიან დიდი	ერთი ან ორ განზომილებ იანი	ლოკალიზებული, ჩიპური სისტემის დამოუკიდებელი კონტროლით	კი
წრფივი ოპტიკური ქვანტური გამოთვლა	შეუზღუდავი	ძალიან დიდი	ფიზიკური დამისამართე ბა	ფიზიკური პოზიცია	კი

3.1 NMR გადაწყვეტა


ქვანტური გამოთვლების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი დემონსტრაცია დღესდღეობით არის NMR გადაწყვეტის ექსპერიმენტები. [ვადერსიპენი 2001; ბოულანტი 2003]. NMR სისტემაში ქუბითი წარმოდგენილია როგორც ატომის ბირთვის სპინი. სპინის მაგნიტურ ველში მოთავსების შემდგომ მიკროტალღური დასხივებით შესაძლებელი ხდება მისი მანიპულირება. NMR გადაწყვეტაში გამოიყენება გულდასმით შედგენილი მოლეკულები. რამოდენიმე მოლეკულის ატომი შეიცავს ატომურ სპინს და დასხივების სიხშირით, რომელიც მოლეკულურ პოზიციის მიხედვით იცვლის მნიშვნელობას. ამ გზით ხდება სხვადასხვა ქუბითების სიხშირით დამისამართება. ასეთი მოლეკულის დიდი ნაწილი არის თხევად მდომარეობაში; თითოეული მოლეკულა წარმოადგენს ცალკეულ ქვანტურ კომპიუტერს, რომელიც ფუნქციონირებს დამოუკიდებლად და წარმოქმნის წაკითხვისთვის საჭირო რაოდენობის სიგნალს. ეს არის კანონიკური, შეთანხმებული სისტემა. NMR დადაწვეტა შორის ალგორითმის გამოყენებით ითვლის 15-ის ფაქტორიულ რიცხვის, რომელსაც სჭირდება 720 მილიწამი შესასრულებლად. [ვანდესიპენი 2001]. დღესდღეობით ყველაზე მასშტაბური დემონსტრაცია არის 12 ქუბითიანი [ქორი 2004]. ამგვარი შეთანხმებული სისტემა არ საჭიროებს განსაკუთრებულ გამაგრებულ აპარატურას თუმცა მისი სკალარულობა შეზღუდულია, ვინაიდან ქუბითების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში მისი სიგნალის დონე ეცემა.

-*ძლირი მხარე*. კარგი დეკოპერენციის დრო, ოთახის ტემპერატურაზე მუშაობა, სხვადასხვა ექსპერიმენტული მიმართულებები.

-*სუსტი მხარე*. ნელი კარიბჭეები, სუსტი სკალირებადობა, რთული პარალელური ოპერაციები.

3.2 იოსეფსონის გადაკვეთა

იოსეფსონის გადაკვეთაზე დაფუძნებული ქვანტური გამოთვლითი მოწყობილობები წარმოადგენენ ზეგამტარ სისტემებს. [შნირმანი 1997]. მათ აქვთ სამი დადებითი მახასიათებელი: ისინი წარმოიქმნებიან ქუბითს დამუხტვის საშუალებით (როგორც 1 სურათზე ნაჩვენებ მოწყობილობით) [ნაკამურა 1999; პაშკინი 2003], ისინი იყენებენ ნაკადს [მუიჟი 1999; ჩიორესკო 2004] და ისინი იყენებენ ფაზებს [იუ 2002; მარტინისი 2002]; სამივე მახასიათებელის ინფორმაცია მოცემულია ცხრილებზე. მათი წარმოება ხდება ჩვეულებრივი ელექტრო სხივის ლითოგრაფიით და ალუმინის საიზოლაციო სუბსტრატზე ჩრდილოვანი აორთქლებით. იოსეფსონის გადაკვეთით დამუხტვისას, ქუბითი, როგორც სუბ-მიკრონული ზომის (საჭიროდ მცირე მოცულობის) ზეგამტარი ფენა წყვილდება უფრო დიდ ზეგამტარ რეზერვუართან. ზეგამტარ ფენაში ელექტრონები წყვილად მოძრაობენ (კუპერის წვილი). ფენაში არსებული კუპერის წტილის რაოდენობა წარმოადგენს ქუბითს, რომელიც იღებს ნულოვან ან ერთეულ მნიშვნელობას, ან ორივე მნიშვნელობის სუპერპოზიციას. ნაკადური ქუბითების შემთხვევაში, კუპერის წვილი მოთავსებულია ზეგამტარ სარტყელში, რომელშიც ახდენენ ცირკულაციას და წარმოქმნიან დაქვანტულ მაგნიტურ ნაკადს. იმის გამო, რომ ნაკადურ ქუბითის კარიბჭეს შედარებით ნელი სიჩქარე და შესაბამისად უფრო დიდი კოჰერენციული დრო ახასიათებს, ნაკადური ქუბითების განვითარებისთვის შედარებით ნაკლები ექსპერიმენტული ძალისხმევა იხარჯება.



სურათი 1. იოსეფსონის გადაკვეთით დამუხტული ქუბითის წყვილი (ფენა 1, ფენა 2). ეს მოწყობილობა განკუთვნილია ორ-ქუბითიან კარიბჭეს შორის არსებულ „კონტროლის“ და „სიგნალის“ ქუბითების გარდასაქმნელად. ამ მოწყობილობაში ორი ქუბითის დაწყვილება ფიქსირებულია [ი.ნაკამურა და ტ.იამამოტო].

ერთ-ერთ ასეთ დამუხტული ქუბითის სკალირებად გადაწყვეტის ფორმაში შესაძლებელია ნებისმიერი ორი ქუბითის დამისამართება და დაწყვილება. [იოუ 2002]. ამის განხორციელება შესაძლებელია სერთო ინდუქტირებით. ასეთ შემთხვევაში მეზომელ ქუბითზე მოქმედების შეზღუდვა იხსნება, მაგრამ თითო ჯერზე მხოლოდ ერთი კარიბჭის მოქმედება შესაძლებელი. მეზომილ ქუბითებზე სხვადასხვა ერთგანზომილებიანი სტრუქტურული გადაწყვეტაა დამყარებული, თუმცა შესაძლებელია დამოუკიდებელ ქუბითებზე დაფუძნებული პარალელური კარიბჭეების უზრუნველყოფა. [ლანცი 2004].

-*ზლიერი მხარე*. ძალიან სწრაფი კარიბჭეები, დახვეწილი ექსპერიმენტული დემონსტრირება, მარტივი წარმოება.

-*სუსტი მხარე*. გაზომვის დროის გამო დაბალი კოჰერენციის დრო, ლოკალურ მაგნიტურ ველების მიმართ მგრძნობელობა.

ცხრილი 3. მოქმედების სიხშირე და კარიბჭის მახასიათებლები

ტექნოლოგია	დეკოპერენციის დრო	გაზომვის დრო	ერთეუბითიანი კარიბჭის მოქმედების სიჩქარე	ორეუბითიანი კარიბჭის მოქმედების სიჩქარე	ბუნებრივი ორ-ეუბითიანი კარიბჭე
სილიციუმის NMR	25 წამი	დიდი	40kHz	400Hz	1 დაწყვილება
NMR გადაწყვეტა	წამები	დიდი	50GHz	50Hz	1 დაწყვილება
ქვანტური ნაწილაკის დამუხტვა	რამოდენიმე ნანოწამი	10-100 ნანოწამი	10GHz	10GHz	გაცვლა
სკალირებადი იონური ხაფანგი	1 მილი მილი/წამი	100 მიკროწამი - 10 მილიწამი	14kHz - დან 100kHz - მდე	~10 მიკროწამი	მდგომარეობის ფაზაში გასასვლა
იოსეფსონის გადაკვეთით დამუხტვა	რამოდენიმე ნანო/წამი	10 ნანოწამი	10GHz	10GHz	მდგომარეობის ფაზაში გასასვლა
კეინის მოდელი	დიდი?	დიდი	75kHz	75kHz	1 დაწყვილება
წრფივი ოპტიკური ქვანტური გამოთვლა	გაფანტავით და შთანთქმით შეზღუდული	5-10 ნანოწამი	1 ნანოწამზე ნაკლები	დეტექტორის დროით შეზღუდული	მდგომარეობის ფაზაში გასასვლის ხვდასხვა შესაძლებლობები


ცხრილი 4. სხვა მახასიათებლები			
ტექნოლოგია	ლოგიკური:საწყისი კოდირება	კარიბჭის სინქრონის კონტროლი	სკალირების ზღვარი
სილიციუმის NMR	1:1	ნელი კარიბჭეები უზრუნველყოფს ზუსტ სინქრონს	ინიციალიზების ხარისხი,სტატიკურ მაგნიტურ ველში ზუსტი განთავსების და მაგნიტური ველის მოდების ხარისხი.
NMR გადაწყვეტა	1:1	ნელი კარიბჭეები უზრუნველყოფს ზუსტ სინქრონს	სიგნალის ხმაურად გარდაქმნა (SNR) ექპონენციალურად ვარდება n-ში
ქვანტური ნაწილაკის დამუხტვა	1:3	რყევების მიუხედავად კარიბჭეები ზუსტია	გარე ჩაწერის კონტროლი
სკალირებადი იონური ხაფანგი	1:1	რყევების შესამცირებლად რეკომენდირებულია დეკოჰერენციისგან თავისუფალი სივცრის გამოყოფა	დიდი ონდენობის ინდივიდუალური იონების გადაცემის და მათი მოძრაობის დროის ალბათური სიზუსტით შესრულება
იოსფსონის გადაკვეთით დამუხტვა	1:1	ფაზების აქტიური კონტროლი	გადამკვეთი ქუბითების ინტერფეისი;დიდი რაოდენობის მიკროტალღური გენარატორების ჩადშენება
კეინის მოდელი	1:1	-	წარმოების სირთულე
